

ბრძანება

20 თებერვალი 2019 წ.

თბილისი

№ 164/03

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 12 თებერვლის №145 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის ქართულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს საქართველოს მოქალაქე ბერდია ბახტამე.
2. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ქართულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს საქართველოს მოქალაქე ნარგიზა ნალიევა.
3. ამ ბრძანების პირველი და მეორე პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2019 წლის 05 აპრილამდე.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტების სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს ს. მღებრიშვილს და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანს ი. მჭედლიშვილს.
5. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

6. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს ხ. თოდამეს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს თ.კილასონიას, სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს ს. მღებრიშვილს, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანს ი. მჭედლიშვილს, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურის უფროსს თ. სტეფანიშვილს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხამეს, ეკონომიკურ დეპარტამენტს.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი